



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა

კრიმინალისტიკური ტექნიკა და ტექნიკური ექსპერტიზა

ქუთაისი

2011

1. **პროგრამის დასახელება** - კრიმინალისტიკური ტექნიკა და ტექნიკური ექსპერტიზა
2. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის მაგისტრი
3. **პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** 120 კრედიტი
ერთი კრედიტი - 25 ასტრონომიული საათი, სულ 3000 საათი
 - პროგრამის სავალდებულო კურსები - 100 კრედიტი
 - არჩევითი მოდულების კურსები - 20 კრედიტი
4. **სწავლების ენა:** ქართული
5. **პროგრამის მიზანი:**

პროგრამის მიზანს წარმოადგენს ელექტრული მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, რომელიც ფუნდამენტალურ საინჟინრო დისციპლინათა შესწავლის საფუძველზე შეძლებს: კრიმინალისტიკურ ექსპერტიზაში გამოყენებული ხელსაწყოებისა და ახალი კონსტრუქციულ სქემის შედგენა და არსებულის მოდიფიკაციას და გაუმჯობესებას მათი გამოყენების ეფექტრობის ამაღლებას.

ექსპერტულ-კრიმინალისტიკური კართოთეკების და კოლექციების ორგანიზაცია და წარმართვა, დანაშაულის გახსნისა და გამოძიებაში მათი გამოყენების ეფექტურობის გაზრდის ფორმების დანერგვა. უნდა ფლობდეს: კრიმინალისტიკური ექსპერტიზის ჩატარების მეთოდებს, ექსპერტის დასკვნის სტრუქტურას, ექსპერტიზისა და გამოკვლევის შედეგების გაფორმების წესებს, თანამედროვე კრიმინალისტიკური ტექნიკას, ახალი ტექნიკურ-კრიმინალისტიკურ მეთოდებს, საშუალებებს და მოძიების, აღმოჩენის, ფიქსაციის, ამოღების ხერხებს.

წინამდებარე სამაგისტრო პროგრამა ემსახურება თანამედროვე მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტის გამოშვებას.

დასაქმების სფერო:

1. კურსდამთავრებულთა დასაქმება შესაძლებელია:
2. შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს კრიმინალისტიკურ განყოფილებებში
3. პროკურატურაში
4. სახელმწიფო უშიშროების განყოფილებებში
5. შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამომძებლო განყოფილებებში
6. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**

უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი. საქართველოს მოქალაქეებისათვის ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების დოკუმენტი და საუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება, უცხო ენის ცოდნა B1 დონეზე. ან ექვივალენტური დოკუმენტი უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის სახელმწიფოებს შორის შესაბამისი ხელშეკრულებების არსებობის შემთხვევაში.

სამაგისტრო პროგრამაზე სწავლა შეუძლია ინჟინერიის მიმართულების სხვა მონათესავე დარგების და სპეციალობების უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის კურსდამთავრებულებს.

7. **სწავლის შედეგი:**

<p>ა) ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერება;</p>	<p>კრიმინალისტიკური ექსპერტიზის ჩატარების თეორიების ცოდნა.</p> <p>თანამედროვე კრიმინალისტიკური მეთოდებისა და საშუალებების ცოდნა.</p> <p>კრიმინალისტიკური ექსპერტიზის ჩატარებისას საჭირო ტექნიკური საშუალებების კონსტრუქციები თავისებურების გაცნობიერება;</p> <p>კრიმინალისტიკური ექსპერტიზის ძირითადი პრინციპების ცოდნა-გაცნობიერება.</p>
<p>ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.</p>	<p>სხვადასხვა ახის ექსპერტიზაში ტექნიკური და ორგანიზაციული ფუნქციების შესრულება;</p> <p>ექსპერტიზის ცალკეული სახეების განხილვა მათი თავისებურებების გათვალისწინებით, შესაბამისი დოკუმენტების გაფორმება. შესაბამისი დასკვნების გაკეთება.</p> <p>კრიმინალისტიკური ექსპერტიზის საკითხების კომპლექსური კვლევა და ანალიზი;</p> <p>ექსპერტიზაზე შემოსული ნიმუშების დაზიანებების აღმოჩენა, დიაგნოსტიკა საჭირო ტექნიკური საშუალებების. შერჩევა;</p> <p>ექსპერტიზაზე შემოსული მასალებისა და ნაკეთობების მახასიათებლების კვლევა ხარისხობრივი და რაოდენობრივი შეფასების მეთოდების გამოყენებით;</p> <p>ექსპერტიზის დაგეგმვა;</p> <p>ექსპერტიზის წარმოებისთვის ტექნიკური საშუალებების ოპტიმალური ვარიანტების შერჩევა;</p> <p>უახლესი ტექნიკისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების ინტენსიფიკაცია ;</p>

<p>გ) დასკვნის უნარი</p>	<p>სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;</p>	<p>ექსპერტიზის ჩატარების ახალი მეთოდების ანალიზი და არსებულ პირობებში მათი დანერგვის შესახებ რეკომენდაციების შემუშავება;</p> <p>ექსპერტიზის ჩატარების განსხვავებული მეთოდების შედარებითი ანალიზი და საუკეთესო ვარიანტის შესახებ დასკვნის გამოტანა;</p> <p>ექსპერტიზის სახის ალტერნატიული ვარიანტების მოძიება და მათი ანალიზის საფუძველზე სწორი დასკვნის გამოტანა;</p> <p>საჭიროების შემთხვევაში ხელთ არსებული ინფორმაციების ინტეგრირებით, მოდიფიცირებითა და სინთეზირებით ოპტიმალური ვარიანტის შეთავაზება.</p>
<p>დ) კომუნიკაციის უნარი</p>	<p>იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება.</p>	<p>ზოგად და პროფესიულ თემებზე საკუთარი აზრების ნათლად გამოხატვა შესაბამისი განმარტებებით მშობლიურ და უცხო ენაზე;</p> <p>თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება;</p> <p>მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების უნარი;</p> <p>საქმიანობის შედეგების დოკუმენტირება და პრეზენტაციის ორგანიზება პროფესიულ გარემოში;</p> <p>ადექვატური რეაგირება ალტერნატიულ აზრზე, საკუთარი შეხედულების დაცვა შესაბამისი არგუმენტების მოყვანით;</p>
<p>ე) სწავლის უნარი</p>	<p>საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა;</p>	<p>მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე კრიმინალისტიკური ექსპერტიზის სფეროში მიღებული საკუთარი ცოდნის შედარება არსებულ ცოდნის დონესთან, პრაქტიკულ და სამართლებრივი მოთხოვნების გათვალისწინებით;</p> <p>სასწავლო პროგრამის კურსების ანალიზის საფუძველზე იმ დისციპლინების შერჩევა, რომლებიც უზრუნველყოფენ დასაქმების</p>

		თვალსაზრისით დასახული მიზნის მიღწევას. სწავლის შემდგომი გაგრძელების შესაძლებლობის განსაზღვრას და დარგის კონკრეტული მიმართულების შერჩევას.
ვ) ღირებულებები	ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.	განსხვავებული აზრის პატივისცემა; საკუთარი აზრის დაცვა და დასაბუთება; თვითკრიტიკა. კრიტიკა პროფესიული და ადამიანური ეთიკის დაცვით; საქმიანობის პროცესში სამართლიანობის პრინციპების დაცვა

8. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სწავლების ფორმები: ლექცია, ლაბორატორიული, პრაქტიკული მუშაობა, ჯგუფში მუშაობა, პედაგოგიური და სამეცნიერო პრაქტიკა.

სწავლების მეთოდები: თეორიული მასალის გადაცემა, კითხვა-პასუხის სესია, დისკუსია, კვლევითი ჯგუფი, დებატი, ჯგუფური განხილვები და პრაქტიკული სიტუაციების გარჩევები, პროექტების შემუშავება.

სწავლის მეთოდები: სააუდიტორიო მუშაობა - ლექციაზე და პრაქტიკულ (ლაბორატორიულ) მეცადინეობაზე დასწრება, სალექციო მასალისა და საშინაო დავალების მომზადება, ბიბლიოთეკაში მუშაობა, სარეიტინგო წერებისათვის მზადება, რეფერატის, დისერტაციის მომზადება, დამოუკიდებლად შესრულებული სამუშაოს, პროექტის ან მოხსენების პრეზენტაცია, კონფერენციებში მონაწილეობა.

9. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია;

შეფასების სისტემები თითოეული კონკრეტული კურსისათვის მოცემულია სილაბუსებში, რომლებიც წარმოდგენილია პროგრამის დანართში.

თითოეულ კურსში სტუდენტის შეასება ხდება არანაკლებ სამი კომპონენტით, რომელთაგან ბოლო არის დასკვნითი გამოცდა. შეფასება შესაძლებელია მოხდეს სარეიტინგო ტესტირებების, საშინაო დავალებების შესრულების, ლაბორატორიული სამუშაოების შესრულების, ნაშრომების პრეზენტაციით და სხვა კომპონენტების მიხედვით.

დასკვნითი გამოცდა არ ფასდება 40 ქულაზე მეტით.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

თუ საპატიო მიზეზის გამო გამოტოვებულია შეფასების რომელიმე კომპონენტი გადაბარების უფლებას იძლევა ფაკულტეტის დეკანი.

სტუდენტის შეფასების კრიტერიუმები შემდეგია:

1. 90 ქულაზე მეტი - ფრიადი (A);
2. 81-90 ქულა - ძალიან კარგი (B);
3. 71-80 ქულა - კარგი (C);

4. 61-70 ქულა - დამაკმაყოფილებელი (D);
5. 51-60 ქულა - საკმარისი (E);
6. 41-50 ქულა - ვერ ჩააბარა (FX), (უფლება აქვს ხელახლა გავიდეს გამოცდაზე);
7. 41 ქულაზე ნაკლები - ჩაიჭრა (F), (საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი).

10. სასწავლო გეგმა

N	კურსის კოდი	კურსი	სს	ლ./პრ./ლაბ./დმ	კრედი -ტო რაოდ ენობა	სემესტრები								წინაპირობა
						I	II	III	IV					
საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები (12,5 კრედიტი)														
3		ექსპერიმენტის დაგეგმვა და ანალიზი	125	15.30.0.80	5		5							
4		მათ. მოდელირება საინჟინრო საქმეში	125	15.30.0.80	5		5							
5		პედაგოგიკა და ფსიქოლოგია	125	12.12.0.80	2,5	2,5	10							
არჩევითი კურსები (5 კრედიტი-1 კურსი)														
6		ავტომატიზირ. დაგეგმარების სისტემები	125	12.24.0.89	5	5								
7		მსოფლიოს საინფორმაციო რესურსები	125	12.24.0.89	5	5								
4		უცხო ენა	125	0.36.0.89	5	5								
8		ტექნიკური შემოკმედება და ტექნიკური სისტემების განვითარების კანონები	125	12.24.0.89	5	5								
სულ														
პროგრამის სავალდებულო კურსები (90 კრედიტი)														

9		სამაგისტრო ნაშრომი	750	0.0.0. 750	30	5	5	10	10					
10		სამეცნიერო-პედაგოგიური პრაქტიკა	125	45.0.0.80	5			5						
11		სამეცნიერო-კვლევ. (პროფეს) პრაქტიკა	125	45.0.0.80	5				5					
12		საგზაო და ავტოსატრანსპორტო შემთხვევების კრიმინალისტიკური და ტექნიკური ექსპერტიზა	125	12.12.0.101	5	5								
13		ნივთიერებების, მასალების და ნაკეთობების თანამედროვე ტექნიკური და კრიმინალისტიკური კვლევა 1	250	24.24.24.178	10	10								
16		თანამედროვე კრიმინალისტიკური ტექნიკა და ტექნიკური ექსპერტიზა	250	30.30.30.160	10			10						
17		აუდიო და ვიდეო სიგნალების რეგისტრაციისა და ჩაწერისათვის გამოყენებული მეთოდები და ხელსაწყოები	125	12.24.0.89	5		5							
18		კომპიუტერული დანაშაული და მასთან ბრძოლის მეთოდები	125	12.24.0.89	5				5					
19		კრიმინალისტიკური ექსპერტიზის ჩატარების ძირითადი საშუალებები და მეთოდები	125	15.15.15.80	10		10							
20		ნივთიერებების, მასალების და ნაკეთობების თანამედროვე ტექნიკური და კრიმინალისტიკური კვლევა 2	125	15.15.15.80	5				5					
21		საკვებ პროდუქტებში მოხვედრილი ტოქსიკური ნივთიერებების	125	15.30.0.80	5			5						

		კრიმინალისტიკური კვლევა												
22		ტექნიკაში გამოყენებული უახლესი ტექნოლოგიები	125	12.24.0.89	5	5								
23		სატრანსპორტო-ტრანსოლოგიური, ავტოსაგზაო და მძღოლის კრიმინალისტიკური ფსიქოფიზიოლოგიური ექსპერტიზა	125	12.24.0.89		2.5								
24		გარეგნობის ნიშანთა მიხედვით პიროვნების კრიმინალისტიკური იდენტიფიკაცია მეცნიერულ საფუძვლებზე	125	15.30.0.80	5				5					

გამოყენებულ შემოკლებათა განმარტება:

სს - საათი სემესტრში; **ლ./პრ./ლაბ./დმ** - ლექცია/პრაქტიკული/ლაბორატორიული/დამოუკიდებელი მუშაობა

11. კომპეტენციების რუქა

№	კურსის დასახელება	გასავითარებელი კომპეტენციები					
		ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1		+	+		+		
2	სატრანსპორტო-ტრანსოლოგიური, ავტოსაგზაო და მძღოლის კრიმინალისტიკური ფსიქოფიზიოლოგიური ექსპერტიზა	+	+		+		
3	ექსპერიმენტის დაგეგმვა და ანალიზი	+	+	+			
4	მათ. მოდელირება საინჟინრო საქმეში	+	+				
5	პედაგოგიკა და ფსიქოლოგია	+	+				
6	ავტომატიზირ. დაგეგმარების სისტემები	+	+				
7	მსოფლიოს საინფორმაციო რესურსები	+	+				
8	ტექნიკური შემოქმედება და ტექნიკური სისტემების განვითარების კანონები	+	+				
9	ნივთიერებების, მასალების და ნაკეთობების თანამედროვე ტექნიკური და კრიმინალისტიკური ექსპერტიზა	+	+	+			
10	თანამედროვე კრიმინალისტიკური ტექნიკა და ტექნიკური ექსპერტიზა	+	+	+			
11	ჩაშენებული (მიკროპროცესული) სისტემები)-	+	+	+			
12	კომპიუტერული დანაშაული და მასთან ბრძოლის მეთოდები	+	+	+			
13	ნივთიერებების, მასალების და ნაკეთობების ტექნიკური და კრიმინალისტიკური ექსპერტიზა	+	+	+			
14	კრიმინალისტიკური ექსპერტიზის ჩატარების ძირითადი საშუალებები და მეთოდები	+	+	+			

15	სურსათის უვნებლობა	+	+	+			
16	გარეგნობის ნიშანთა მიხედვით პიროვნების კრიმინალისტიკური იდენტიფიკაცია მეცნიერულ საფუძვლებზე	+					
17	ტექნიკაში გამოყენებული უახლესი ტექნოლოგიები	+	+	+			
18	საგზაო და ავტოსატრანსპორტო შემთხვევების კრიმინალისტიკური და ტექნიკური ექსპერტიზა	+	+	+			
18	პრაქტიკა						
19	სასწავლო პრაქტიკა		+			+	
20	საწარმოო პრაქტიკა		+			+	

12. სასწავლო კურსების მოკლე აღწერა

პროგრამის სავალდებულო კურსები –100 კრედიტი

ექსპერიმენტის დაგეგმვა და ანალიზი

კურსის მიზანია მისცეს სტუდენტს საბაზისო ცოდნა ექსპერიმენტალური კვლევის თეორიაში: ცდების ორგანიზაციის, ექსპერიმენტალური გაზომვების ცდომილებების, ექსპერიმენტის დაგეგმვის, ექსპერიმენტალური შედეგების დამუშავების, ანალიზის და წარმოჩენის შესახებ.

მათ. მოდელირება საინჟინრო საქმეში

მისცეს მაგისტრს სიინჟინრო-საწარმოო სფეროში პრობლემის ანალიზის და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათემატიკური მეთოდების და მოდელების გამოყენების უნარი და დაუფართოვოს შემეცნებითი თვალსაწიერი.

კურსი მოიცავს საინჟინრო მოდელის სხვადასხვა სფეროდან აღებულ მათემატიკური მოდელების მაგალითებს: გადაწყვეტილების მიღების მოდელებს, რაკეტების პროექტირების ამოცანებს, მძლავრი გამოსხივებით ნახვრეტების მიღების მოდელებს, საინჟინრო ამოცანების ამოხსნისათვის ქსელური მოდელების გამოყენებას, მათემატიკური ეკოლოგიის მოდელებს და ა.შ. ყურადღება ექცევა რიცხვითი მეთოდების გამოყენებას მათემატიკური მოდელების დროს.

საქმიანობის სხვადასხვა სფეროებში მათემატიკური მეთოდების დანერგვა შესაძლებელს ხდის კვლევის ახალი ეფექტური საშუალებების გამოყენებას, რაც მოითხოვს შესაბამისი სფეროების სპეციალისტების მათემატიკური ცოდნის დონის ამაღლების აუცილებლობას. ამასთან ერთად, პრაქტიკა აჩვენებს, რომ სხვადასხვა გამოყენებითი ამოცანის ამოსახსნელად მხოლოდ მათემატიკური ცოდნა არ არის საკმარისი. საჭიროა იმის ცოდნა, თუ როგორ შეიძლება ამოცანის საწყისი ფორმულირების მათემატიკურ ენაზე გადაყვანა. სწორედ, ამაში მდგომარეობს მათემატიკური მოდელების ხელოვნების დაუფლების პრობლემა.

კურსი “მათემატიკური მოდელების საინჟინრო საქმეში“ შედგება რამდენიმე თემისგან. ყოველი თემა ეძღვნება საინჟინრო საქმის სხვადასხვა სფეროდან აღებული კონკრეტული მოვლენის მათემატიკური მოდელის შექმნის პროცესს. აგრეთვე განხილულია მიღებული მოდელების რეალიზაციის მათემატიკური მეთოდები, მათ შორის, მიახლოებითი რიცხვითი მეთოდები.

პედაგოგიკა და ფსიქოლოგია

მისცეს სტუდენტს ცოდნა პედაგოგიურ ფსიქოლოგიის სფეროში.

გააცნოს სტუდენტს პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის, მეცნიერული ურთიერთ კავშირის შესახებ.

სტუდენტებმა სწორად გააკეთონ არჩევანი სპეციალური განათლების მიღებისას და მისი პრაქტიკულად გამოყენებისა გარემოში სადაც მათ მოუხდებათ ცხოვრება რაშიც დახმარებას გაუწევს მიღებული ცოდნა.

გაითვალისწინონ სხვადასხვა მონათესავე მეცნიერებათა საფუძვლების კავშირი პედაგოგიურ ფსიქოლოგიასთან.

გაუჩნდეს სტუდენტებს მოთხოვნილება დისკუსიის, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების.

მისცეს დამოუკიდებლად ცხოვრების, დამოუკიდებლად აზროვნების და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის საჭირო უნარ-ჩვევები.

ავტომატიზირ. დაგეგმარების სისტემები

სასწავლო კურსის მიზანია მისცეს სტუდენტს მრავალმხრივი საბაზისო ცოდნა ავტომატიზირებულ დაგეგმარების თანამედროვე სისტემებზე, უფრო ღრმად კი - პარამეტრულ დაგეგმარებაზე. რაც გულისხმობს დასაგეგმარებელი ნაკეთობის ნებისმიერი რაოდენობის განსხვავებული ტიპზომის, (ოღონდ ტიპიური - ერთნაირი ფორმის) დეტალების, კვანძებისა და საამწყობო ერთეულებისათვის სამხაზველო დოკუმენტების თითქმის მომენტალური გამოშვების შესაძლებლობას.

მსოფლიოს საინფორმაციო რესურსები

მსოფლიო ინფორმაციული რესურსების გაცნობა და პროფესიონალურ საქმიანობაში მათი ეფექტური გამოყენების აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავება.

ტექნიკური შემოქმედება და ტექნიკური სისტემების განვითარების კანონები

ტექნიკური სისტემების განვითარების კანონების შესწავლა და პრაქტიკულად გამოყენების უნარის განვითარება; ახალი ტექნიკური სისტემების შექმნის უნარების გამომუშავება; ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური გეომეტრიული და სხვა ეფექტების გამოყენების პრაქტიკული უნარების შექმნა;

თანამედროვე კრიმინალისტიკური ტექნიკა და ტექნიკური ექსპერტიზა-არის საგანი რომელიც წარმოადგენს თეორიული დებულებების და სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების და მეთოდების შემუშავების პრინციპების სისტემას, რომლის მიზანია დანაშაულების გამოკვლევის და გახსნის პროცესში მტკიცებულებების შეგროვება და კვლევა.

საგნის მიზანია შეასწავლოს მომავალ სპეციალისტს (მაგისტრს) კრიმინალისტიკური ტექნიკის საფუძვლები, თანამედროვე ტექნიკა რომელიც გამოიყენება კრიმინალისტიკური ტრასოლოგიაში, ბალისტიკაში, დოკუმენტების კრიმინალისტიკური გამოკვლევაში, პიროვნების იდენტიფიკაციაში, კრიმინალისტიკური ფოტოგრაფიაში.

ნივთიერებების, მასალების და ნაკეთობების თანამედროვე ტექნიკური და კრიმინალისტიკური ექსპერტიზა

დისციპლინა შესწავლის მომავალ სპეციალისტს დღევანდელ ცხოვრებაში მოხმარებულ და გამოყენებული ქიმიური ნივთიერებების მასალებისა და ნაკეთობების კრიმინალისტიკური კვლევის თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების თეორიული საკითხები: მოლეკულის აგებულებით განპირობებულ ელექტრული თვისებების გამოყენება მათივე შესწავლისათვის და იდენტიფიკაციისათვის; ბირთვულ-მაგნიტური რეზონანსის და ელექტრონულ-პარამაგნიტური, ინფრაწითელი და ოპტიკო-აკუსტიკური სპექტროსკოპიული მეთოდები; ასაფეთქებელი და ნარკოტიკული საშუალებების კვლევის თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები; იმუნოქიმიური დიაგნოსტიკუმები; ფიზიკო-ქიმიური მეთოდები: ფოტოკოლორიმეტრული, მიკროსკოპული ქრომატოგრაფიული განზოგადოებულია მასს-სპექტროსკოპული, ქრომატოგრაფიული და იმუნოფერმენტული ანალიზის მეთოდების გამოყენებით ნარკოტიკული ნივთიერების იზოლირების, იდენტიფიკაციისა და რაოდენობრივი განსაზღვრის კვლევის პროცესი. აგრეთვე დამწვარი სამხილების ლაბორატორიული კვლევა გაზურ-თხევადი ქრომატოგრაფიული მეთოდის გამოყენებით; ამერიკული დოლარი და მისი დაცვის ხერხები და მეთოდები; დნმ და მისი ანალიზის მნიშვნელობა კრიმინალისტიკური გამოძიებისათვის და ჩამოუყალიბოს ამ სფეროებში შემდგომი საქმიანობისათვის საჭირო პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

დისციპლინის შესწავლის მიზანია სტუდენტის მიერ სპეციალობის სრულყოფილი დაუფლება, მას შეეძლოს თავისი ცოდნის გამოყენება საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის ექსპერტიზაში.

სპეციალისტი უნდა პასუხობდეს შემდეგ მოთხოვნებს : მას უნდა ქონდეს წარმოდგენა საფეიქრო ნაწარმის ასორტიმენტზე, ექსპერტიზის ჩატარების მეთოდებზე და საშუალებებზე ექსპერტიზის ჩატარების მეთოდების გამოყენება, საფეიქრო ნაწარმის ნიმუშების აღება შემთხვევის ადგილიდან, ექსპერტიზის ჩატარების შედეგების გაფორმება.

ამრიგად, საგნის სწავლების მიზანია საფეიქო ბოჭკოების კრიმინალისტიკური კვლევს თეორიული ასპექტების გაცნობა. საგნის კურსი მოიცავს საფეიქრო მასალების კრიმინალისტიკური ექსპერტიზის ყველა ელემენტის ანალიზს.

პროგრამა განკუთვნილია “ კრიმინალისტიკური ტექნიკისა და ტექნიკური ექსპერტიზის “ და “სასამართლო ექსპერტიზის “ სპეციალობის მაგისტრატურის სტუდენტებისათვის.

ტექნიკაში გამოყენებული უახლესი ტექნოლოგიები

სასწავლო მიზანია მომავალ სპეციალისტს გააცნოს ნანონაწილაკების, ნანოსტრუქტურების, ნანოქიმიის და ნანოტექნოლოგიების განვითარების საკითხები და მისი შეჭრა ქიმიის, ბიოლოგიის, ფიზიკის, ინფორმატიკის სფეროებში.

კომპიუტერული დანაშაული და მასთან ბრძოლის მეთოდები

მიზანია სტუდენტებს შეასწავლოს თანამედროვე პროგრამების საშუალებით კრიმინალისტიკის განხრით, კომპიუტერული დანაშაულის გამოვლენის გზებს. ელექტრონული დოკუმენტების გაყალბების გამოვლენის გზები, აგრეთვე მონაცემთა ბაზებთან მუშაობას, რაც დაეხმარებათ პრაქტიკულ საქმიანობაში მათ წინაშე დასმული ამოცანების ოპერატიულ გადაწყვეტაში.

კურსის შესწავლის დროს ისინი აითვისებენ ინფორმაციის უსაფრთხო შენახვის თანამედროვე მეთოდებს და საშუალებებს

კრიმინალისტიკური ექსპერტიზის ჩატარების ძირითადი საშუალებები და მეთოდები

დისციპლინის შესწავლის მიზანია შეასწავლოს მომავალ მაგისტრს ყველა ის ხელსაწყო, აპარატურა, ხმის ჩამწერი საშუალებები, საინფორმაციო მასალები, რომელებიც გამოიყენება მტკიცებათა მისაღებად, მათი კრიმინალისტიკური გამოკვლევისათვის ,დანაშაულის თავიდან აცილებისა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა ეფექტური განხორციელებისათვის.

სპეციალობის სრულყოფილი დაუფლება,თავისი ცოდნის გამოყენება კრიმინალისტიკურ ექსპერტიზაში. კრიმინალისტიკური კვლევის თეორიული ასპექტების გაცნობა. კრიმინალისტიკური ექსპერტიზის ჩატარების მეთოდებისა და საშუალებების გამოყენება, ნიმუშების აღება შემთხვევის ადგილიდან, ექსპერტიზის ჩატარების შედეგების გაფორმება.

კრიმინალისტიკური ექსპერტიზის ყველა ელემენტის ანალიზი.

ნივთიერებების, მასალების და ნაკეთობების ტექნიკური და კრიმინალისტიკური ექსპერტიზა

დისციპლინის შესწავლის მიზანია სტუდენტის მიერ სპეციალობის სრულყოფილი დაუფლება, მას შეეძლოს თავისი ცოდნის გამოყენება საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის ექსპერტიზაში.

სპეციალისტი უნდა პასუხობდეს შემდეგ მოთხოვნებს: მას უნდა ქონდეს წარმოდგენა საფეიქრო ნაწარმის ასორტიმენტზე, ექსპერტიზის ჩატარების მეთოდებზე და საშუალებებზე ექსპერტიზის ჩატარების მეთოდების გამოყენება, საფეიქრო ნაწარმის ნიმუშების აღება შემთხვევის ადგილიდან, ექსპერტიზის ჩატარების შედეგების გაფორმება.

ამრიგად, საგნის სწავლების მიზანია საფეიქო ბოჭკოების კრიმინალისტიკური კვლევს თეორიული ასპექტების გაცნობა. საგნის კურსი მოიცავს საფეიქრო მასალების კრიმინალისტიკური ექსპერტიზის ყველა ელემენტის ანალიზს.

საფეიქრო მასალების, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის და სხვა ნაწარმის იდენტიფიკაცია. საფეიქრო მასალების კლასიფიკაცია. საფეიქრო ბოჭკოების კლასიფიკაცია. საფეიქრო ბოჭკოების გამოცნობის მეთოდები. მიკროსკოპული მეთოდების გამოყენება საფეიქრო ბოჭკოების ექსპერტიზისას საფეიქრო ძაფებს ექსპერტიზა. საკერავი ძაფების ექსპერტიზაქსოვილების, ექსპერტიზა. ტრიკოტაჟის კლასიფიკაცია და ექსპერტიზა ტანსაცმლის კლასიფიკაცია და ექსპერტიზა. ფეხსაცმლის კლასიფიკაცია და ექსპერტიზა. საფეიქრო ბოჭკოების, ტილოების, ტრიკოტაჟის ნაწარმის სტრუქტურა და სტრუქტურული პარამეტრებისაგამომდებლო და ოპერატიულისადიებო მოღვაწეობის პირობებში დაფიქსირების, ამოღებისა და შესწავლისას გამოყენებული სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები და მეთოდები ინვითიერი მტკიცების ლაბორატორიული გამოკვლევებისას გამოყენებული სამეცნიერო ტექნიკური საშუალებები და მეთოდები. მიკროსკოპული, გაზომვითი, ანალიზური, გამოთვლითი ტექნიკა და ძირითადი ამოცანები, მათი გამოყენების შესაძლებლობები. კრიმინალისტიკურ მოღვაწეობაში ვიზუალური ინფორმაციის ფიქსაციის ძირითადი საშუალებები და მეთოდები

სასწავლო კურსის მიზანია მოამზადოს მაღალი დონის მაგისტრი, იგი ითვალისწინებს თეორიული ცოდნის გაღრმავებას და ლაბორატორიული სამუშაოების შესრულებით პრაქტიკული საქმიანობის ჩვევების ჩამოყალიბებას შემდეგ საკითხებში: ადამიანსა და გარემოზე მავნე ზემოქმედების მქონე ქიმიური ნივთიერებების იდენტიფიკაციის პროცესი და გამოყენებული კრიმინალისტიკური ხელსაწყოები ამ სასწავლო კურსს აქვს, როგორც თეორიული, ასევე გამოყენებითი მნიშვნელობა, რადგან მისი შესწავლა მომავალ სპეციალისტებს დიდად დაეხმარებათ ნარკომანიისა და ნარკობიზნესის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლაში თანამედროვე მეთოდებით გადაჭრან მათ წინაშე პრაქტიკულ საქმიანობაში დასმული კონკრეტული დავალებები, გააკეთონ დასკვნები და აწარმოონ შესაბამისი დოკუმენტაცია.

გარეგნობის ნიშანთა მიხედვით პიროვნების კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის მეცნიერული საფუძვლები-

არის საგანი რომელიც შეისწავლის ადამიანის გარეგნობის ნიშნებს (სახის არეში) პირის იდენტიფიკაციისა და რიგი სხვა საკითხების გადაწყვეტის მიზნით. ის იყოფა ორ ძირითად ნაწილად: 1) ფოტოპორტრეტული ექსპერტიზა; 2) სახის აღდგენა თავის ქალის მიხედვით.

ფოტოპორტრეტული ექსპერტიზა შეისწავლის ადამიანის გარეგნობის ფოტოგრაფიულ ასახვებს იმ პირების იდენტიფიკაციის მიზნით, რომლებიც ასახულია გარკვეულ ფოტომასალაზე (ნეგატივი, პოზიტივი, ციფრული მატარებელი) და სხვ..

ასეთი სახის ექსპერტიზა ინიშნება მაშინ, როდესაც საჭირო ხდება ფოტოსურათზე ასახული პირის იდენტიფიკაცია, ასეთი პირები კი შეიძლება იყოს ძებნილები, ამოუცნობი გვამები და სხვა.

სახის აღდგენა თავის ქალის მიხედვით წარმოადგენს ჰაბიტოსკოპიის უმნიშვნელოვანეს ნაწილს, და ის ძალიან დიდ როლს თამაშობს უცნობი გვამების ამოცნობის სფეროში. თავის ქალის მიხედვით სქესისა და ასაკის დადგენისას და ასევე სახის აღდგენისას იყენებენ ანატომომორფოლოგიურ, ანთროპომეტრიულ და რენტგენოლოგიურ მონაცემებს.

საგზაო სატრანსპორტო შემთხვევების გამოკვლევა და კრიმინალისტიკური ექსპერტიზა მიზანია სტუდენტები დაეუფლონ პროფესიულ ცოდნას საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის (სსშ) ექსპერტიზისა და ანალიზის სფეროში. აითვისოს ავტოტექნიკური ექსპერტიზის ჩატარების საორგანიზაციო ასპექტები, რომელიც მიმართული იქნება საავტომობილო გზებზე სატრანსპორტო ნაკადის მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე.

აუდიო და ვიდეო სიგნალების რეგისტრაციისა და ჩაწერისათვის გამოყენებული მეთოდები და ხელსაწყოები

სპეციალობის სრულყოფილი დაუფლება, თავისი ცოდნის გამოყენება კრიმინალისტიკურ ექსპერტიზაში. კრიმინალისტიკური კვლევის თეორიული ასპექტების გაცნობა. აუსიო და ვიდეო სიგნალების რეგისტრაციისა და ჩაწერის მეთოდებისა და ხელსაწყოების შესწავლა. ექსპერტიზის ჩატარების მეთოდებისა და საშუალებების გამოყენება, ექსპერტიზის ჩატარების შედეგების გაფორმება. კრიმინალისტიკური ექსპერტიზის ყველა ელემენტის ანალიზი.

13. სამაგისტრო ნაშრომი

კრედიტების რაოდენობა - 30,

მათ შორის:

I სემესტრი - 5 კრედიტი

II სემესტრი - 5 კრედიტი

III სემესტრი - 10 კრედიტი

IV სემესტრი - 10 კრედიტი

სამაგისტრო ნაშრომის მიზანი:

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია სწავლის პროცესში მიღებული მთელი ცოდნის სისტემატიზაცია, დარგობრივი ცოდნის, პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების გამოვლენა.

სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად შესრულებულ სამუშაოს. იგი არ არის ჯგუფური პროექტი. მასში უნდა აისახოს სწავლის პერიოდში შეძენილი პრაქტიკული და თეორიული ცოდნა. კერძოდ, ელექტროენერგეტიკის დარგის ღრმა და სისტემური ცოდნა, მათ შორის ისეთი სპეციფიკური მეთოდების/საკითხებისა, რომელთა ძირითადი ნაწილიც ასახავს კვლევაზე დაფუძნებულ ახალ ცოდნას ან/და პროფესიულ პრაქტიკას. სტუდენტმა სამაგისტრო ნაშრომში უნდა შეძლოს კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი/ორიგინალური გზების მოძიება, უნდა გამოავლინოს კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, ნაშრომში უნდა ჩანდეს, რომ სტუდენტს შეუძლია რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება, უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი. ნაშრომში შემოქმედებითად უნდა იყოს გამოყენებული თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, დარგის თავისებურებების გათვალისწინებით.

სემესტრების მიხედვით სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის ძირითადი ეტაპები:

I ს ე მ ე ს ტ რ ი - 5 კ რ ე დ ი ტ ი

ითვალისწინებს: სამაგისტრო ნაშრომის თემის ირგვლივ არსებული ინფორმაციის გაცნობას და შეგროვებას, ლიტერატურისა და სხვა წყაროების მიხედვით მიმოხილვის მომზადება (სამუშაოს 10-15%).

II სემესტრი - 5 კრედიტი

ითვალისწინებს: ლიტერატურისა და სხვა წყაროების მიხედვით მიმოხილვის მომზადება, დასკვნების გაკეთება, თემის აქტუალობის დასაბუთება, კვლევ ამოცანის ფორმულირება, (სამუშაოს 15-20%).

III სემესტრი - 10 კრედიტი

ითვალისწინებს: კვლევის მეთოდების შერჩევა, ექსპერიმენტული ან კომპიუტერული კვლევების ჩატარება და შედეგების ანალიზი, მიღებული შედეგების მიხედვით პირველი დასკვნების გაკეთება. სამაგისტრო ნაშრომის თემის შესაბამისი სტატიებისა და მოხსენებების მომზადება, პუბლიკაცია ან კონფერენციებში მონაწილეობა, (სამუშაოს 20-30%).

IV სემესტრი - 10 კრედიტი

მიღებული შედეგების დაზუსტება, საბოლოო შედეგებისა და სიახლეს ფორმულირება, რეკომენდაციების შემუშავება (სადაც შესაძლებელია). ნაშრომის გაფორმება მოთხოვნილი ფორმით. წინასწარი განხილვა და რეცენზირებაზე წარდგენა. ნაშრომის დაცვა კომისიაზე. სამაგისტრო ნაშრომის თემის შესაბამისი სტატიებისა და მოხსენებების მომზადება, პუბლიკაცია ან კონფერენციებში მონაწილეობა, (სამუშაოს 35%-40%)

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი:

- სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს აკადემიური წრეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული და ასოცირებული პროფესორი, ან მოწვეული პროფესორი (ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით) დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე. სამაგისტრო ნაშრომს შესაძლებელია ჰყავდეს თანახელმძღვანელებიც.
- სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის მოვალეობაა : დაეხმაროს სტუდენტს თემის შერჩევაში, გეგმის შედგენასა და ბიბლიოგრაფიის დამუშავებაში, ეტაპობრივად შეამოწმოს თემაზე მუშაობის პროცესი, გამოთქვას შენიშვნები და კვლევის არასწორი მიმართულებით წარმართვის შემთხვევაში დაეხმაროს ავტორს მის კორექციაში.

ნაშრომის დასრულების შემდეგ მოამზადოს დასკვნა .

სამაგისტრო ნაშრომის თემის არჩევა:

- ნაშრომის თემატიკა დამტკიცებული უნდა იყოს დეპარტამენტისა და ფაკულტეტის საბჭოზე და შეტანილი უნდა იქნეს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული პროგრამის აღწერილობაში.
- სამაგისტრო ნაშრომის თემის არჩევის შესახებ სტუდენტი შესაბამისი განცხადებით მიმართავს ფაკულტეტის დეკანს და პროგრამის ხელმძღვანელს; განაცხადში მითითებული უნდა იყოს თემის სახელწოდება და ტიპი (კვლევითი, რეფერატული);
- სამაგისტრო ნაშრომს სტუდენტი ასრულებს ინდივიდუალურად.

სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ენა – ქართული.

შენიშვნა: შესაძლებელია უცხოენოვანი სამაგისტრო პროგრამის მაგისტრებმა ნაშრომი წარმოადგინონ იმ ენაზე, რა ენაზეც მიმდინარეობს სწავლება.

სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა – სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა შედგება შემდეგი ძირითადი ნაწილებისაგან:

შესავალი – წარმოადგენს ნაშრომის ზოგად ნაწილს, რომელშიც უნდა აისახოს თემის აქტუალობის დასაბუთება, მიზნები, დასმული ამოცანების შინაარსი, საკვლევი საგნისა და ობიექტის ფორმულირება კვლევისათვის გამოყენებული მეთოდი, პრობლემის კვლევის მდგომარეობა, ანუ თუ არის საკითხი დამუშავებული. ვის მიერ, როდის და რა კუთხით რით განსხვავდება მოცემული სამაგისტრო ნაშრომი წინა კვლევებისაგან; ნაშრომის მთავარი შედეგები და სამეცნიერო სიახლე. მატერიალურ–ტექნიკური ბაზა და საინფორმაციო რესურსები, შესავლის მოცულობა, სასურველია არ აღემატებოდეს 2–5 გვერდს.

ნაშრომის ძირითადი ნაწილი - დასმული ამოცანის გადაჭრისათვის სტუდენტის მიერ განხორციელებული სამუშაოების აღწერა შერჩეული მეთოდების გამოყენებით.

დასკვნა – წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის კვლევის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების ნაწილს, რომელშიც მოკლედ აისახება კვლევის შედეგების თეორიული მნიშვნელობა და პრაქტიკული ღირებულება და ასევე პერსპექტიული გამოყენების სფერო.

სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა და დაცვა:

- ნაშრომი წარმოდგენილ უნდა იქნეს წინასწარ განხილვაზე დაცვამდე სულ მცირე ერთი თვით ადრე. წინასწარი განხილვისათვის არ არის აუცილებელი ნაშრომის აკინძული სახით წარმოდგენა.
- წინასწარ განხილვაზე მას განესაზღვრება რეცენზენტი.
- ნაშრომის რეცენზენტი შესაძლებელია იყოს დარგის სპეციალისტი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალიდან, ასევე მოწვეული პიროვნება(ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით).
- რეცენზენტს ნაშრომი უნდა გადაეცეს დაცვამდე არაუგვიანეს 15 დღით ადრე. იგი დაცვამდე 5 დღით ადრე წარმოადგენს დასკვნას წერილობითი ფორმით, რომელშიც ის აფასებს ნაშრომს წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით.
- სამაგისტრო ნაშრომი უნდა იყოს ყდაში ჩასმული A4 ფორმატის ფურცელზე;
- სამაგისტრო ნაშრომს უნდა ახლდეს ხელმძღვანელის წერილობითი დასკვნა, შეფასების (ქულის) გარეშე
- სტუდენტმა ასევე უნდა წარადგინოს ნაშრომის სრული ელექტრონული ვერსია – CD;
- ნაშრომის დაგვიანებით წარდგენის, ან პლაგიატის შემთხვევაში დაცვა გადაიდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით გადაიდება ერთი სემესტრით.
- ნაშრომის საბოლოო შეფასება იწერება კომისიის მიერ, რომელიც შედგება 3–5 წევრისაგან. საბოლოო შეფასება არის კომისიის ყველა წევრის შეფასების და რეცენზენტის შეფასების საშუალო **არითმეტიკული**

შეფასების კრიტერიუმები:

ნაშრომი ფასდება 100 ქულიანი სისტემით

შეფასების კრიტერიუმები

ნაშრომის ფორმალური მხარე (სტანდარტთან შესაბამისობა):	10
დასკვნის, სარჩევის, გამოყენებული ლიტერატურის ნუსხის	

წარმოდგენა,	
ნაშრომის შინაარსობრივი მხარე (საკვანძო საკითხები, ძირითადი პუნქტები, მასალის დამუშავება, ინფორმაციის სირთულე)	60
▪ თემის აქტუალურობა	30
▪ ორიგინალურობა	10
▪ შესრულებული სამუშაოს მნიშვნელობა	5
▪ შეგროვებული მონაცემები, შემუშავებული მეთოდები	5
▪ საინფორმაციო რესურსების გამოყენება	5
▪ მსჯელობის ხარისხი: იდეების და / ან კონცეფციების ნათელი და ლოგიკური სტრუქტურა,	5
ნაშრომის პრეზენტაცია (ვერბალური მხარე, ტექნიკური და ვიზუალური მხარე)	30 ქულა (ვერბალური მხარე - 20 ქ., ტექნიკური მხარე-10.)
ნაშრომის საბოლოო შეფასება	100 ქულა

შესრულებული სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია მხედველობაში იქნეს მიღებული შეფასების ზოგიერთი სპეციფიკური კრიტერიუმი.

მაგალითად, ნაშრომის ფორმალური და შინაარსობრივი მხარე რეცენზენტმა შესაძლოა შეაფასოს შემდეგი 10 კომპონენტთან პრინციპით:

1. ტექსტი გასაგებადაა დაწერილი: სრულიად გასაგებია, ზოგიერთი ადგილია გაუგებარი, სრულიად გაუგებარია – მაქსიმუმ 10 ქულა
2. ტექსტი დაწერილი მიღებული სტანდარტით: სრულიად შეესაბამება, ნაწილობრივ შეესაბამება, არ შეესაბამება – მაქსიმუმ 10 ქულა
3. ტექსტში დასაბუთებულადაა მოყვანილი ესა თუ ის ინფორმაცია: კი, არა – მაქსიმუმ 10 ქულა
4. ტექსტის სათაური შეესაბამება მის შინაარსს: სრულიად ასახავს, ნაწილობრივ ასახავს, არ ასახავს – მაქსიმუმ 10 ქულა
5. გამოყენებულია შესაბამისი ლიტერატურა: სრულიად შესაბამისია, ნაწილობრივ – ზოგი შეესაბამება და ზოგი არა. არ შეესაბამება. გამოყენებულია თანამედროვე ლიტერატურა – თანამედროვეა, არ არის თანამედროვე – მაქსიმუმ 10 ქულა.
6. საკვლევი კითხვა დასმული სწორად გამომდინარეობს განხილული ლიტერატურიდან და ნაშრომის სპეციფიკიდან მაქსიმუმ – 10 ქულა

7. ჰიპოთეზა ჩამოყალიბებულია სწორად: კი, არა – მაქსიმუმ -10ქულა
8. მეთოდი შერჩეულია სწორედ: კი, არა – მაქსიმუმ –10 ქულა
9. მონაცემები დამუშავებულია სწორედ: კი, არა – 10 ქულა
10. მონაცემების განხილვა: სრულია, არასრულია, არასაკმარისია – მაქსიმუმ –10 ქულა.

სამაგისტრო ნაშრომის გაფორმება უნდა შეესაბამებოდეს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებას #112 (10/11) (10.06.2011) „სამაგისტრო ნაშრომის შემუშავების გზამკვლევის დამტკიცების შესახებ“.

დანართი №1

სილაბუსები

დანართი №2

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის
განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის
შესახებ.

	საგნის დასახელება	წამყვანი პედაგოგი	აკადემიური თანამდებობა/ ხარისხი
1	ექსპერიმენტის დაგეგმვა და ანალიზი	ომარ კიკვიძე	სრული პროფესორი
2	მათემატიკური მოდელირება საინჟინრო საქმეში	ქეთევან ცხაკაია	ასოცირებული პროფესორი
3	პედაგოგიური ფსიქოლოგია	ქეთევან ძოწენიძე,	ასოცირებული პროფესორი
4	ავტომატიზირებული დაგეგმარების სისტემები	ალექსანდრე ლომიძე	ასოცირებული პროფესორი
5	მსოფლიო ინფორმაციული რესურსები	დავით ზაუტაშვილი.	ასოცირებული პროფესორი
6	ნივთიერებების, მასალებისა და ნაწარმის კრიმინალისტიკური კვლევა	ნინო ღინტიბიძე	ასოცირებული პროფესორი
7	ნივთიერებების, მასალებისა და ნაკეთობების კრიმინალისტიკური	ნარგიზა ორმოცაძე	ასისტენტ

	ექსპერტიზა		პროფესორი
8	ტექნიკური შემოქმედება და ტექნიკური სისტემების განვითარების კანონები	მიხეილ კოტიშაძე	ასოცირებული პროფესორი
9	ტექნიკაში გამოყენებული უახლესი ტექნოლოგიები	ნარგიზა ორმოცაძე	ასისტენტ პროფესორი
10	კრიმინალისტიკური ექსპერტიზის ჩატარების ძირითადი საშუალებები და მეთოდები	ნინო ღინტიბიძე	ასოცირებული პროფესორი
11	საკვებ პროდუქტებში მოხვედრილი ტოქსიკური ნივთიერებების კრიმინალისტიკური კვლევა	რევაზ ფილია	ექსპერტი. მოწვეული სპეციალისტი.
12	აუდიო და ვიდეო სიგნალების რეგისტრაციისა და ჩაწერისათვის გამოყენებული მეთოდები და ხელსაწყოები	ზაზა პაპიძე	ექსპერტი. მოწვეული სპეციალისტი
13	საგზაო და ავტოსატრანსპორტო შემთხვევების კრიმინალისტიკური და ტექნიკური ექსპერტიზა	გოჩა ლეკვეიშვილი	ასოცირებული პროფესორი
14	სატრანსპორტო-ტრანსოლოგიური, ავტოსაგზაო და მძღოლის კრიმინალისტიკური	ჯუმბერ ჩოგოვაძე	ასოცირებული პროფესორი

	ფსიქოფიზიოლოგიური ექსპერტიზა		
15	გარეგნობის ნიშანთა მიხედვით პიროვნების კრიმინალისტიკური იდენტიფიკაცია მეცნიერულ საფუძვლებზე	ნინო ლინტიბიძე	ასოცირებული პროფესორი
16	კომპიუტერული დანაშაული და მასთან ბრძოლის მეთოდები	მალხაზ მაისაშვილი	ასისტენტ პროფესორი
17	კრიმინალისტიკური ექსპერტიზის ჩატარების ძირითადი საშუალებები და მეთოდები	ნინო ლინტიბიძე	ასოცირებული პროფესორი
18	ნივთიერებების, მასალების და ნაკეთობების ტექნიკური და კრიმინალისტიკური კვლევა	ნინო ლინტიბიძე	ასოცირებული პროფესორი
19	სასწავლო პრაქტიკა	ნარგიზა ორმოცაძე	ასისტენტ პროფესორი
20	სამეცნიერო პრაქტიკა	ნინო ლინტიბიძე	ასოცირებული პროფესორი

დანართი №2

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსები:

1. ფაკულტეტის სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკა;
 2. კრიმინალისტიკური ტექნიკისა და ექსპერტიზის სფეროში მომუშავე პროფესორ-მასწავლებელთა მიერ შექმნილი დამხმარე მეთოდური მასალები;
 3. საინჟინრო-ტექნიკური მიმართულების ტექნოლოგიური კაბინეტ-ლაბორატორიები;
 4. ფაკულტეტისა და დეპარტამენტის კომპიუტერული ცენტრები;
 - a. ელექტროტექნიკური დეპარტამენტის კომპიუტერული კლასი - 15 კომპიუტერი , აღჭურვილი საოფისე და სასწავლო პროგრამული უზრუნველყოფით (Math CAD, MatLAB, Microsoft Project)
 5. ელექტროტექნიკური დეპარტამენტის ლაბორატორიები;
 6. სპეც.დანიშნულების მოთვალთვალე და მძებნელი ტექნიკის ლაბორატორია;
 7. ელექტრული ოპტიკური მიკროსკოპული ტექნიკის ლაბორატორია;
 8. ნივთიერების მასალების და ნაწარმის თანამედროვე კრიმინალისტიკური კვლევის ლაბორატორია;
1. ხელნაწერების და დოკუმენტების, ჰაბიტოსკოპიის კაბინეტ-ლაბორატორია.

ლაბორატორიის დასახელება	მოწყობილობის ჩამონათვალი	რაოდენობა	აუდიტორია, კორპუსი
კრიმ.ტექნიკა	ოპტიკური გამადიდებელი საშუალებები	40	302.2
	სხვადასხვა ტიპის სანადირო თოფის ლულეები	39	302.2
	სახაზავები	40	302.2
	სპეც.დანიშნულების ნივთიერების კონტეინერი	11	302.2
	ტყვიები,მასრები,ცეცხლსასროლი იარაღის სხვადასხვა ნაწილები	1	302.2
	დენტის ნიმუშები	1	302.2
	ცეცხლსასროლი იარაღის ვაზნები	1	302,2
	ბრეტყელტუჩა,მკვნეტარა, პინცეტი,ლითონის საჭრელი ხერხი, სისქის საზომი ხელსაწყოები	1	302,2
	ავტოსატრანსპორტო საშუალებების შექვარები	1	302,2

	გატეხვის იარაღების ნიმუშები		302,2
	გამადიდებელი ლუპები	23	303,2
	პლასტმასის კონტეინერები	34	303,2
	დაქტილოსკოპიური ლაბ. ჩემოდანი		303,2
	ფუნჯები,ქიმიკატები		303,2
	მაგიდის ნათურები	8	303,2
	თვალსაჩინოების სტენდი ხელის ქარგებით	4	303,2
	ფესაცმლის ძირის ყალიბები		303,2
	სხვადასხვა ტიპის ფოტობიექტივები		321,2
	ციფრული ფოტოაპარატი	1	321,2
	ფოტოაპარატები	6	321,2
	ფოტოსურათების საბეჭდი მოწყობილობები	5	321,2
	მცირე ზომის ნივთმტვიცების	1	321,2
	გადასაღები მოწყობილობა		
	თვალსაჩინო სტენდი ფოტოაპარატურისა და სურათების	1	321,2
	გამადიდებელი საშუალებები	12	334,2
	საბეჭდი მანქანა	3	334,2
	ექსპერტის სპეც.სამუშაო მაგიდა	2	334,2
	თვალსაჩინო მასალები საგამოფენო სტენდი	1	334,2
	ფულის დამცავი ნიშნების თვალსაჩინოების სტენდი	1	334,2
	ქართული ხელნაწერების ნიმუშები	1	334,2
	მანეკენი და თავის ქალა	1	334,2
	პროექტორი	1	334,2
სპეც.დანიშნუ ლების მოთვალთვალ ე და მძებნელი ტექნიკა	მოდრაობის დეტექტორები	2	318,2
	ლამის ხედვის მოწყობილობა ПН 34	2	318,2
	მეტალის აღმომჩენი დეტექტორები	2	318,2
	რადიოგადამცემი P-105M	1	318,2
	პორტატული მეტალის დეტექტორები	2	318,2,
კრიმინალისტ იკის საფუძვლები, ტექნიკური ექსპერტიზის	ტელევიზორი	1	319
	DVD-PLAYER	1	319
	მუსიკალური ცენტრი	1	319
	პროექტორი	1	319
	თვალსაჩინო ვიტრინა:	1	319

ჩატარების საშუალებები და სამართლებლ ივი ბაზა	მასრები, ტყვიები, ცივი და გასატეხი იარაღები		
	შემთხვევის ადგილზე ამოღებული კვალების ამსახველი თვალსაჩინო ბილ- ბორდები	1	319
	კომპიუტერები	1	319
	ცეცხლასასროლი იარაღების თვალსაჩინო მასალა	1	319
1) ელექტრულ ი ოპტიკური მიკროსკოპუ ლი ტექნიკა 2) ნივთიერები ს მასალების და ნაწარმის თანამედროვე კრიმ. კვლევა	მიკროსკოპი	8	323,335, 303;2
	მუფელის ღუმელი	3	323,303, 335;2
	ტექნიკური სასწორი	2	323,335;2
	ანალიზური სასწორი	2	323,335;2
	ლუპა	13	323,303, 335;2
	პლასტმასის კონტეინერები	3	323,303, 335;2
	მინის ჭურჭელი და ქიმიური რეაქტივები- კოლბები, პიპეტები, სინჯარები, ძაბრები, მინის წვირები, წყლის მაცივრები, ექსტრაქტორი, ექსიკატორები, მენზურები, ფაიფურის ჭიქები, ჯამები. არაორგანული მჟავები, გამხსნელები და სხვა ქიმიკატები. სტერეო მიკროსკოპი. ფოტოელექტროკოლორიმეტრი. კლიმატის შემქმნელი ხელსაწყო. წყლის ექსპერტიზის ლაბორატორია. არემეტრების ნაკრები. საექსპერტიზო ქსოვილების ნიმუშები.	57	
	მაგნიტური სარეველა	2	
	საშრობი კარადა	1	
	ელექტრო ქურა	1	323.2
	კოლბა-გამაცხელებელი კოლბები	1	323.2
კომპიუტერუ ლი ექსპერტიზა ხელნაწერების და დოკუმენტები	კომპიუტერი	7	322,2
	სკანერი	1	322,2
	პრინტერი	1	322,2

ს ექსპერტიზა			
-----------------	--	--	--